

ავტობიოგრაფია

ნინო ყანჩაველი

დაბადების თარიღი 1982 წლის 25 აპრილი

დაოჯახებული

სამი შვილის დედა

საშუალო ზოგადი განათლება -ქალაქ რუსთავის ქართული გიმნაზია; ატესტატის ნომერი AG N235448

უმაღლესი განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი . კვალიფიკაცია იურისტი.

დიპლომის გაცემის თარიღი/ნომერი: 2005 წელი, A N000389

2020 წლის ოქტომბრიდან ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა: სპეციალიზაცია, სკოლის დამამთავრებელი გამოცდის მიხედვით: ადმინისტრაციული სამართალი

სწავლის პერიოდი: 2009 ნოემბერი - 2011 თებერვალი

სამუშაო გამოცდილება:

2019 წლის 1 ივნისიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე

2011 წლის 21 თებერვლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

2005 ოქტომბერი - 2006 თებერვალი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი

2006 თებერვალი - 2006 აპრილი -საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტის მოვალეობის შემსრულებელი

2006 აპრილი - 2008 სექტემბერი -საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტი

2008 სექტემბერი - 2009 ნოემბერი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი

დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა

10 დღიანი სასწავლო კურსი : საქმეთა განაწილება და მართვა, დროის მართვა, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, სამოსამართლო ეთიკა; - ნიუ იორკის სასამართლო, ნიუ იორკის ბარის ასოციაცია, ადვოკატთა ასოციაცია, ფედერალური სამოსამართლო ცენტრი, საადვოკატო ბიურო, ფორდჰემის სამართლის სკოლა

2017 წლის 7 მაისიდან 20 მაისამდე - **სემინარები** ქალაქ კონინგსვინთერში (ზოგადი და კერძო ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართალწარმოება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ზეპირი განხილვა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები, მოსამართლეთა პროფესიული გაერთიანებები) **პრაქტიკული კურსი** ზაარლანდის სააპელაციო სასამართლოში

2016 წლის 20–23 ივნისი - ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი: ძირითადი პრინციპები, სარჩელის სახეები, გადაწყვეტილებათა სახეები, ადმინისტრაციული აქტების აღსრულება, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება, უფლებამოსილების დელეგირება. - **ლაიფციგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი**

სემინარები: 1. კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2. სამშენებლო სამართლის პრობლემური საკითხები 3. სტრესის მართვა ; 4. თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები , სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სასამართლო დავები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება , მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გზით, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა, ნარკომომხმარებელთა უფლებები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვის პრობლემური საკითხები, კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, საიდუმლო საქმისწარმოება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სამოსამართლო ქცევა და ეთიკა, საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემური საკითხები, ახალი საგადასახადო კოდექსი, ზიანის ანაზღაურება და სხვა.

2003-2004წწ. ერთწლიანი სასწავლო კურსი: სამოქალაქო სამართალი (ძირითადი საგნები:სამოქალაქო პროცესი, საერთაშორისო კერძო სამართალი და სავაჭრო სამართალი; სპეცკურსები:შრომის სამართალი, საბანკო სამართალი, სოციალ-ეკონომიკური უფლებები და კერძო არბიტრაჟი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი

6 თვიანი პრაქტიკული კურსი 2004წელი: იურიდიული კლინიკა: სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პრაქტიკული საკითხები - არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლი